

Zoma Quat Foam

სარეცხი – სადეზინფექციო საშუალება ღია საწარმოს / დანადგარების გარეცხვისთვის

აღწერილობა

Zoma Quat Foam არის კონცენტრირებული სარეცხი საშუალება სადეზინფექციო თვისებებით, სპეციალურად შემუშავებული კვების პროდუქტების, სასმელების და რძის პროდუქტების მრეწველობაში ღია დანადგარების გარეცხვისთვის.

ძირითადი თვისებები

Zoma Quat Foam მოიცავს უხვი ქაფწარმოქმნის თვისების მქონე ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს, კომპლექსწარმოქმნელი / სეკვესტრანტების და ტუტოვანი სარეცხი კომპონენტების ნაერთს.

სადეზინფექციო თვისებებს განაპირობებს მეოთხედი ამონიუმის შენაერთის შერევა. ინგრედიენტების ეს კომბინაცია უზრუნველყოფს ჭუჭყის ეფექტურ მოცილებას და სადეზინფექციო ეფექტს მიკრო-ორგანიზმების სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ, მათ შორის გრამ-დადებითი და გრამ-ნეგატიური ბაქტერიების და საფუარის სოკოების წინააღმდეგ. Zoma Quat Foam რეკომენდებულია იატაკის, კედლების, ინვენტარის, მოწყობილობის და კვების პროდუქტებთან შეხებაში არსებული ზედაპირების ერთეულებთან გარეცხვისა და დეზინფექციისთვის და გამოიყენება საქონლის და ფრინველის ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებში, ნახევარფაბრიკატების, რძის პროდუქტების, სასმელების და სხვა კვების პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში. Zoma Quat Foam შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელით, ასევე გაყენებით ან შესხურებით გარეცხვისთვის. ქაფწარმოქმნის თვისებიდან გამომდინარე მისი გამოყენება ასევე შესაძლებელია სათანადო ქაფის აპარატით.

სარგებელი

- ერთი პროდუქტი გარეცხვისა და დეზინფექციისთვის – დაზოგავს დროს და ძალისხმევებს.
- ეფექტური გამწმენდი ეფექტი - აცილებს ცხიმს და მიმხმარ ჭუჭყს.
- ფართო სპექტრის სადეზინფექციო მოქმედება.
- გამოდგება მტკნარ და ხისტ წყალში გამოყენებისთვის.
- არ ტოვებს ნაღებს.

გამოყენების ინსტრუქციები

გამოიყენეთ Zoma Quat Foam 1.0-2.0% v/v კონცენტრაციით, რაც დამოკიდებულია დაბინძურების ტიპზე და ხარისხზე

გამოყენების შემდეგ ყოველთვის გაავლეთ / გადარეცხეთ მთლიანად. კონკრეტული დეტალები იხილეთ

ინდივიდუალური გამოყენების მეთოდების ბარათებში.

ტექნიკური მონაცემები

გარეგნული სახე გამჭვირვალე, უფერო სითხე

ფარდობითი სიმკვრივე 20°C-ზე 1.05

ქანგბადის ქიმიური მოხმარება (COD) 345 გ O2/კგ

აზოტის შემცველობა (N) 2.8 გ/კგ

ფოსფორის შემცველობა (P) არ აქვს

აღნიშნული მონაცემები ტიპურია ჩვეულებრივი პროდუქციისთვის და არ გამოიყენება სპეციფიკაციების სახით.



წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია ჩვენი რწმენით არის ნამდვილი და სწორი, თუმცა ყველა რეკომენდაცია და შეთავაზება გაცემულია გარანტიის გარეშე რადგან მათი გამოყენების პირობები სცილდება ჩვენი კონტროლის ფარგლებს. DiverseyLever არ იღებს პასუხისმგებლობას ხსენებული მონაცემების და რეკომენდაციების გამოყენებასთან დაკავშირებით.

Zoma Quat Foam ინფორმაცია უსაფრთხო გამოყენების და შენახვის შესახებ

შეინახეთ ორიგინალ დახურულ კონტეინერებში, მთავრად მალე ტემპერატურას. სრული სახელმძღვანელო ამ პროდუქტის გამოყენების შესახებ მოცემულია ცალკე ნივთიერებების უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში.

პროდუქტის შეთავსებადობა

Zoma Quat Foam გამოყენება უსაფრთხოა ყველა სახის მასალაზე, რომელიც ზოგადად გამოიყენება კვების მრეწველობისთვის საჭირო მოწყობილობებში, მხოლოდ რეკომენდებული პირობების დაცვით.

გამოყენების შემდეგ ყოველთვის გულდასმით გადარეცხეთ ზედაპირი.

გაურკვევლობის შემთხვევაში, რეკომენდებულია ცალკეული მასალების შეფასება მის ხანგრძლივ გამოყენებამდე.

გამოცდის მეთოდი

| | |
|-------------|---|
| რეაგენტები: | 0.1N მარილმჟავას ან გოგირდმჟავას ხსნარი მეთილ-წითელი ინდიკატორი |
| პროცედურა: | დაუმატეთ 1 მლ ინდიკატორი პროდუქტის გასახსნელად გამოყენებულ 100 მლ წყალს. მოახდინეთ მჟავით ტიტრირება სანამ არ გახდება მუქი ვარდისფერი და აღნიშნეთ ტიტრი = B ml. ასევე დაამატეთ 1 მლ ინდიკატორი 100 მლ საცდელ ხსნარს. მოახდინეთ ტიტრირება მჟავათი სანამ არ გახდება მუქი ვარდისფერი და აღნიშნეთ ტიტრი = T ml. |
| გამოთვლა: | $\% \text{ v/v Zoma Quat Foam} = (T - B) \text{ მლ} \times 0.12$ $\% \text{ w/v Zoma Quat Foam} = (T - B) \text{ მლ} \times 0.13$ $\% \text{ w/w Zoma Quat Foam} = (T - B) \text{ მლ} \times 0.13$ |

ეკოლოგიური ინფორმაცია

Zoma Quat Foam დამტკიცებულია უსაფრთხოების და გარემოს დაცვის გარანტიის ცენტრის (SEAC) მიერ, როგორც უსაფრთხო გამოყენებისთვის, მოცემული დირექტივების შესაბამისად მისი გამოყენების შემთხვევაში.

მიკრობიოლოგიური მონაცემები

EN 1276 ტესტირება შემდეგი პირობებით: 1% გახსნა ხისტ წყალში (300ppm როგორც CaCO₃) და ჭუჭყიან (0.3% საქონლის ალბუმინი) პირობებში, 5 წუთი ზემოქმედების დრო.